



ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვა საქართველოში

1. კონვენციები და ადგილობრივი კანონმდებლობა

საერთაშორისო კონვენციები / ხელშეკრულებები, რომელთა მონაწილეც არის საქართველო:

1. ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (ისმო) დამფუძნებელი კონვენცია (საქართველო წევრია 1991 წლიდან)
2. ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის შესახებ ბერნის კონვენცია (საქართველო წევრია 1995 წლიდან)
3. შემსრულებლების, ფონოგრამების დამამზადებლებისა და სამაუწყებლო ორგანიზაციების უფლებათა დაცვის შესახებ რომის კონვენცია (საქართველო წევრია 2004 წლიდან)
4. საავტორო უფლებების შესახებ ისმო-ს ხელშეკრულება (საქართველო წევრია 2002 წლიდან)
5. შესრულებებისა და ფონოგრამების შესახებ ისმო-ს ხელშეკრულება (საქართველო წევრია 2002 წლიდან)
6. სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენცია (საქართველო წევრია 1991 წლიდან)
7. ხელშეკრულება საპატენტო კოოპერაციის შესახებ (საქართველო წევრია 1991 წლიდან)
8. საპატენტო პროცედურების მიზნებისათვის მიკროორგანიზმთა დეკლარაციის საერთაშორისო აღიარების შესახებ ბუდაპეშტის ხელშეკრულება (საქართველო წევრია 2005 წლიდან)
9. სამრეწველო ნიმუშების საერთაშორისო რეგისტრაციის ჰააგის შეთანხმება (უენევის აქტი) (საქართველო წევრია 2003 წლიდან)
10. ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის შეთანხმების ოქმი (საქართველო წევრია 1998 წლიდან)
11. ადგილწარმოშობის დასახელების დაცვისა და მათი საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ ლისაბონის შეთანხმება (საქართველო წევრია 2004 წლიდან)
12. ნიშნების რეგისტრაციისათვის განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო კლასიფიკაციის შესახებ ნიცის შეთანხმება (საქართველო წევრია 2003 წლიდან)
13. შეთანხმება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ (TRIPS) (საქართველო წევრია 2000 წლიდან)
14. მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვის საერთაშორისო კონვენცია (UPOV) (საქართველო წევრია 2008 წლიდან)

ადგილობრივი საკანონმდებლო აქტები ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა სფეროში

1. საპატენტო კანონი (მიღებულია 1999 წელს)
2. „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ“ კანონი (მიღებულია 1999 წელს)
3. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონი (მიღებულია 1999 წელს)
4. „დიზაინის შესახებ“ კანონი (მიღებულია 2010 წელს)
5. „ცხოველთა და მცენარეთა ახალი ჯიშების შესახებ“ კანონი (მიღებულია 2010 წელს)
6. „ინტელექტუალური მიკროსქემის ტოპოლოგიის შესახებ“ კანონი (მიღებულია 1999 წელს)
7. „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ კანონი (მიღებულია 1999 წელს)

2. ინტელექტუალური საკუთრების უფლებების წარმოშობა და პასუხისმგებლობა ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დარღვევისათვის

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სამრეწველო საკუთრების ზოგიერთ ობიექტებზე (გამოგონება, სასარგებლო მოდელი, დიზაინი, სასაქონლო ნიშანი, გეოგრაფიული აღნიშვნა, ცხოველთა და მცენარეთა ახალი ჯიშები, ინტელექტუალური მიკროსქემის ტოპოლოგია) უფლებები წარმოიშობა მათი საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ საქპატენტში რეგისტრაციის შედეგად. ფორმალურად არ მოითხოვება საავტორო და მომიჯნავე უფლებების წარმოშობისათვის. საავტორო უფლებები წარმოიშობა ნაწარმოების შექმნის ფაქტით. საქპატენტს აქვს საავტორო

უფლებებით დაცული ობიექტების ასლებისა და *sui generis* უფლებით დაცული მონაცემთა ბაზების დეპონირების ნებაყოფლობითი სისტემა.

ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დარღვევისათვის საქართველოს კანონმდებლობა ადგენს პასუხისმგებლობის სხვადასხვა ფორმებს. ზომები, რომლებსაც შეიძლება მიმართოს უფლების მფლობელმა დამრღვევის წინააღმდეგ მოყვანილია ქვევით. საქართველოს სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს სასამართლოს უფლებამოსილებას, გაატაროს წინასწარი ღონისძიებები, რათა უზრუნველყოფილ იქნას სასამართლოს გადაწყვეტილების სრული და სათანადო აღსრულება.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დარღვევა დაკავშირებულია ხსენებული უფლებების სხვადასხვა ობიექტების უნებართვო გამოყენებასთან/ ექსპლოატაციასთან და გარკვეული უფლებების მითვისებასთან, ისევე როგორც თანაავტორობაზე იძულებასთან.

საავტორო უფლებები (საავტორო უფლებები, მომიჯნავე უფლებები, *sui generis* უფლებები)

საავტორო უფლებების დარღვევისათვის საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს პასუხისმგებლობის შემდეგ ფორმებს:

სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 189-ე მუხლის შესაბამისად, საავტორო უფლებების მითვისება, ისევე როგორც თანაავტორობაზე იძულება ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე. თუ იგივე დანაშაული ჩადენილია არაერთგზის, ის გამოიწვევს თავისუფლების აღკვეთას ვადით სამ წლამდე. საავტორო უფლებების (საავტორო უფლებები, მომიჯნავე უფლებები, *sui generis* უფლებები) დარღვევამ, რაც გამოხატულია დიდი ოდენობით შემოსავლის (სულ მცირე 5,000 ლარი) მიღების მიზნით ნაწარმოების, ფონოგრამის, ვიდეოგრამისა და მონაცემთა ბაზის უკანონო რეპროდუცირებაში, მათი ასლების უნებართვო შენახვაში, შექცევაში, გაყიდვაში, იმპორტში ან გაქირავებაში, ისევე როგორც სხვა ქმედებაში, რომელიც არღვევს შესაბამისი კანონით დაცულ უფლებებს, შეიძლება გამოიწვიოს თავისუფლების შეზღუდვა ვადით ორ წლამდე. იგივე ქმედება ჩადენილი განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის (სულ მცირე 10,000 ლარი) მიღების მიზნით ან წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, გამოიწვევს თავისუფლების აღკვეთას ვადით სამ წლამდე. თუ აღნიშნული დანაშაულის ჩადენაში მონაწილეობს იურიდიული პირი, მის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი სანქციები: ჯარიმა, საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ან ლიკვიდაცია და ჯარიმა.

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 157¹ მუხლის შესაბამისად, ნაწარმოების, ფონოგრამის, ვიდეოგრამის ან მონაცემთა ბაზის უკანონო რეპროდუცირება ან ტექნოლოგიური საშუალების გვერდის ავლა, ისევე როგორც მათი კონტრაფაქციული ასლების შექცევა, გაყიდვა, იმპორტი, შენახვა, გაქირავება ან შემოსავლის მიღების მიზნით სხვა ქმედების ჩადენა, რომელიც არღვევს შესაბამისი კანონით დაცულ უფლებებს, დაისჯება ჯარიმით 500 ლარიდან 3,000 ლარამდე (კონტრაფაქციული ასლების, მოწყობილობებისა და ტექნიკური საშუალებების კონფისკაციით, რომლებიც გამოიყენება მათი რეპროდუცირებისათვის ან ტექნოლოგიური საშუალების გვერდის ავლისთვის); განმეორებითი დარღვევისათვის ჯარიმის ოდენობა შეადგენს 3,000 ლარიდან 5,000 ლარამდე (კონტრაფაქციული ასლების, მოწყობილობებისა და ტექნიკური საშუალებების კონფისკაციით). კონფისკებული მოწყობილობები და კონტრაფაქციული ასლები ექვემდებარება განადგურებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ისინი გადაეცემა უფლების მფლობელს. 157² და 157³ მუხლებით გათვალისწინებულია სანქცია 5,000 ლარამდე ჯარიმა და ნაწარმოების, ფონოგრამის, ვიდეოგრამის ან მონაცემთა ბაზის ასლებზე უფლების მართვის ინფორმაციის (მუხლი 157²) და უფლების მფლობელის მიერ დასმული დაცვის ნიშნის (მუხლი 157³) შეცვლის ან განადგურებისათვის გამოყენებული მოწყობილობების კონფისკაცია.

სამოქალაქო პასუხისმგებლობა – „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის 59-ე მუხლის შესაბამისად, საავტორო უფლებების დარღვევისას უფლების მფლობელს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, მიუღებელი შემოსავლის ჩათვლით, ან დამრღვევისათვის იმ შემოსავლის ჩამორთმევა, რომელიც მან მიიღო საავტორო უფლებების დარღვევის შედეგად. საავტორო უფლების მფლობელი უფლებამოსილია მოითხოვოს კონტრაფაქციული ასლების, ისევე როგორც მათი დამზადებისათვის გამოყენებული მოწყობილობების განადგურება. კანონის 61-ე მუხლი, აგრეთვე, უზრუნველყოფს სასამართლოს მიერ წინასწარი (სარჩელის უზრუნველყოფის) ღონისძიებების (აკრძალვა, ყადაღის დადება) გატარების შესაძლებლობას

ამავდროულად, ადმინისტრაციულ და სისხლისსამართლებრივ საქმეთა წარმოება შეიძლება მიმდინარეობდეს სამოქალაქო საქმის პარალელურად, რაც ნიშნავს იმას, რომ სისხლის/ადმინისტრაციულ საქმეთა პარალელურად, დაზარალებული მხარე უფლებამოსილია დამრღვევის წინააღმდეგ წამოიწყოს სამოქალაქო საქმე.

„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონი ითვალისწინებს კოლექტიური მართვის ორგანიზაციებთან დაკავშირებულ სპეციალურ დებულებებს. საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაცია, რომელიც აერთიანებს ქართველი ავტორების დიდ ნაწილს, ადმინისტრირებას უწევს სხვადასხვა კატეგორიის უფლებებს, რაც საშუალებას აძლევს საავტორო უფლებების მფლობელებს უფრო ეფექტურად დაიცვან თავიანთი უფლებები. საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციას მსოფლიოს მასშტაბით დადებული აქვს ურთიერთწარმომადგენლობის შესახებ ხელშეკრულებები ასზე მეტ მსგავს ორგანიზაციასთან და ის არის ავტორთა და კომპოზიტორთა საზოგადოებების საერთაშორისო კონფედერაციის (CISAC) წევრი, მექანიკური უფლებების დამცველი საზოგადოებების საერთაშორისო ორგანიზაციის (BIEM) წევრი და რეპროდუქციების უფლების დამცავი ორგანიზაციების საერთაშორისო ფედერაციის (IFRRO) წევრი.

სამრეწველო საკუთრების უფლებები

(ა) გამოგონება, დიზაინი, სასარგებლო მოდელი, ინტეგრალური მიკროსქემის ტოპოლოგია, მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშები

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 189¹ მუხლის შესაბამისად, გამოგონების, სასარგებლო მოდელის, დიზაინის, ინტეგრალური მიკროსქემის ტოპოლოგიის, მცენარის ან ცხოველის ახალი ჯიშის ავტორობის მითვისებამ ან თანავტორობაზე იძულებამ შეიძლება სასჯელის სახით გამოიწვიოს დაჯარიმება ან გამასწორებელი სამუშაოები ვადით ორ წლამდე. თუ იგივე დანაშაული ჩადენილია არაერთგზის, ის გამოიწვევს თავისუფლების აღკვეთას ვადით სამ წლამდე.

გამოგონების, სასარგებლო მოდელის, დიზაინის, ინტეგრალური მიკროსქემის ტოპოლოგიის, მცენარის ან ცხოველის ახალი ჯიშის უკანონო გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს დაჯარიმება ან თავისუფლების აღკვეთა ვადით ორ წლამდე, მაშინ როდესაც იგივე ქმედებამ ჩადენილმა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ შეიძლება გამოიწვიოს თავისუფლების აღკვეთა ვადით სამ წლამდე.

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა – საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 157⁴ მუხლის შესაბამისად, საქატენტო პატენტზე ან დიზაინის რეგისტრაციაზე წარდგენილი განაცხადის არსის განზრახ გამოუღვენებამ შეიძლება გამოიწვიოს დაჯარიმება 1,000 ლარიდან 3,000 ლარამდე, იგივე ქმედება, თუ ის ჩადენილია დაჯარიმებიდან ერთი წლის განმავლობაში, გამოიწვევს დაჯარიმებას 3,000 ლარიდან 5,000 ლარამდე.

სამოქალაქო პასუხისმგებლობა – საპატენტო კანონი, „დიზაინის შესახებ“ კანონი, „ინტეგრალური მიკროსქემის ტოპოლოგიის შესახებ“ კანონი და „ცხოველთა და მცენარეთა ახალი ჯიშების შესახებ“ კანონი უზრუნველყოფენ უფლების მფლობელთა უფლებას წინ აღუდგინონ მესამე პირების მიერ შესაბამისი ობიექტების უნებართვო გამოყენებას და გარკვეულ შემთხვევებში უფლებას მოითხოვონ ზიანის ანაზღაურება (მიუღებელი შემოსავლის ჩათვლით) და დამრღვევის მფლობელობაში მყოფი იმ ობიექტებისა და აღჭურვილობის განაღებება, რომლებიც გამოყენებულ იქნა უფლებების დარღვევისას.

(ბ) სასაქონლო ნიშანი, ადგილწარმოშობის დასახელება, გეოგრაფიული აღნიშვნა და საფირმო სახელწოდება

სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 196-ე მუხლის შესაბამისად, დიდი ოდენობით (1,000 ცალი და მეტი) სასაქონლო ნიშნის, საქონლის ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის უკანონო დამზადება ან მათი სხვაგვარი უკანონო გამოყენება, ისევე როგორც სხვისი სასაქონლო ნიშნით, საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებით, გეოგრაფიული აღნიშვნით ან რეგისტრირებული საფირმო სახელწოდებით უკანონოდ ნიშანდებული საქონლის წარმოება ან სამოქალაქო ბრუნვაში შეტანა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი (თუ კონტრაფაქციული საქონლის ღირებულება აღემატება 5,000 ლარს) გამოიწვია, ისჯება ჯარიმით, გამასწორებელი სამუშაოებით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე. გარდა აღნიშნულისა, არარეგისტრირებულ სასაქონლო ნიშანთან, საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებასთან ან გეოგრაფიულ აღნიშვნასთან ერთად გამაფრთხილებელი აღნიშვნის ყალბი მითითება ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოციდან ას ოთხმოც საათამდე ან/და გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან სამ წლამდე. თუ ზემოაღნიშნული დანაშაულები ჩადენილია არაერთგზის

ან ასეთი დანაშაულისათვის მსჯავრდებული პირის ან წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ეს გამოიწვევს დაჯარიმებას ან თავისუფლების აღკვეთას ვადით ხუთ წლამდე.

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა – საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 158-ე მუხლის შესაბამისად, სასაქონლო ნიშნის, საქონლის ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის უკანონო დამზადება ან მათი სხვაგვარი უკანონო გამოყენება, აგრეთვე, სხვისი სასაქონლო ნიშნით, საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებით, გეოგრაფიული აღნიშვნით ან რეგისტრირებული საფირმო სახელწოდებით უკანონოდ ნიშანდებული საქონლის წარმოება ან სამოქალაქო ბრუნვაში შეტანა გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარიდან 1,000 ლარამდე, განმეორებითი დარღვევისათვის – ჯარიმას 1,000 ლარიდან 3,000 ლარამდე იმ მოწყობილობების კონფისკაციით, რომლებიც გამოიყენება კონტრაფაქციული საქონლის დამზადებისათვის.

სამოქალაქო პასუხისმგებლობა – „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ კანონის 45-ე მუხლის შესაბამისად, სასაქონლო ნიშნის მფლობელს უფლება აქვს მოითხოვოს დამრღვევის მიერ მისი სასაქონლო ნიშნის გამოყენების აკრძალვა, ზიანის ანაზღაურება და ყველა იმ მასალის, რომელზეც აღბეჭდილია სასაქონლო ნიშანი და მატრიცების, რომლებიც გამოიყენება მის დასამზადებლად, განადგურება. ადგილწარმოშობის დასახელებების და გეოგრაფიული აღნიშვნების შემთხვევაში, თანახმად „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ“ კანონისა, უფლების მფლობელი უფლებამოსილია მოითხოვოს დამრღვევისაგან კანონსაწინააღმდეგო ქმედებების შეწყვეტა, ისევე როგორც მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, იმ აღჭურვილობის, რომელიც გამოიყენებოდა საქონლის წარმოებისთვის და იმ მასალების, რომლებზეც აღბეჭდილია რეგისტრირებული საქონლის ადგილწარმოშობის დასახელება და გეოგრაფიული აღნიშვნა, განადგურება.

3. ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის სისხლის, ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართლებრივი პროცედურები

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, დანაშაულებსა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან დაკავშირებული საქმეები შეიძლება გამოძიებულ იქნეს შინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურატურის ან ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ.

გამოძიების ინიცირებისათვის დაინტერესებულ მხარეს შეუძლია მიმართოს ნებისმიერ ზემოაღნიშნულ ორგანოთაგან. განცხადების განხილვის შემდეგ ის გადაგზავნილი იქნება კომპეტენტურ ორგანოში (შინაგან საქმეთა სამინისტროში ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა საქმეები და ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში სისხლის სამართლის დანაშაულის საქმეები). იმავდროულად, პროკურატურა როგორც გამოძიებაზე ზედამხედველობის ორგანო უფლებამოსილია ნებისმიერ სტადიაზე ჩაერთოს გამოძიებაში.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-100 მუხლი ადგენს *ex officio* პრინციპს, რაც გულისხმობს იმას, რომ სისხლის სამართლებრივი პროცედურები ინიცირებული იქნება შინაგან საქმეთა სამინისტროს ან ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ დანაშაულის (მათ შორის ინტელექტუალური საკუთრების ხელყოფის ფაქტებზე) შესახებ ინფორმაციის მიღების საფუძველზე, უფლების მფლობელის მიერ საჩივრის წარდგენის გარეშე. საბოლოო გადაწყვეტილების მიღება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ განეკუთვნება საქართველოს სასამართლოების განსაკუთრებულ კომპეტენციას.

თუ ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დარღვევის მასშტაბი არ იწვევს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე მიჰყავს შინაგან საქმეთა სამინისტროს. ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დარღვევებთან დაკავშირებული სამოქალაქო საქმეები განიხილება სასამართლოს მიერ. შესაბამისად, უფლების მფლობელს შეუძლია მიმართოს საქართველოს საერთო სასამართლოებს მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის (იურიდიული მისამართის) მიხედვით.

4. ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის სასაზღვრო ღონისძიებები

ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის დამატებითი საშუალება უზრუნველყოფილია „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ კანონით, რომელიც ეფუძნება TRIPS-ის შეთანხმების

(შეთანხმება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ) შესაბამის ნორმებს. აღნიშნულის ამოცანაა, კონტრაფაქციული საქონლის საქართველოს საზღვრებზე გადაადგილების შეზღუდვით დაცულ იქნეს საავტორო, მომიჯნავე და მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლებები, აგრეთვე, უფლებები სასაქონლო ნიშანზე, საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებასა და გეოგრაფიულ აღნიშვნაზე. ამისთვის, ხსენებული უფლებები რეგისტრირებულ უნდა იქნეს საქპატენტში. კერძოდ, სასაქონლო ნიშნებსა და გეოგრაფიული აღნიშვნებზე სასაზღვრო დაცვის მოპოვებისათვის აუცილებელია მათი თავდაპირველი რეგისტრაცია საქპატენტში, რის საფუძველზეც ხსენებულ ობიექტებზე წარმოიშობა განსაკუთრებული უფლებები. რაც შეეხება საავტორო უფლებებს, მათზე სასაზღვრო დაცვის გავრცელება შეიძლება საქპატენტში დაცვის შესაბამისი ობიექტის დეკლარაციით.

2012 წლიდან მხოლოდ საქპატენტში რეგისტრაცია საკმარისია სასაზღვრო დაცვის მოსაპოვებლად, განსხვავებით ადრე არსებული სისტემისა ამჟამად აღარ არის საჭირო ცალკე რეგისტრაცია ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში. ამ უკანასკნელის კომპეტენციას განეკუთვნება სასაზღვრო კონტროლის განხორციელება იმპორტირებულ და ექსპორტირებულ საქონელზე, რისთვისაც მას გააჩნია პირდაპირი წვდომა საქპატენტის შესაბამის მონაცემთა ბაზაზე.

რეგისტრაციის პროცედურის დასრულების მომენტიდან შემოსავლების სამსახური ვალდებულია შეაჩეროს კონტრაფაქციული საქონელი. კანონის შესაბამისად, საქონელი შეიძლება შეჩერებულ იქნეს არაუმეტეს 10 სამუშაო დღის ვადით, რომელიც შემოსავლების სამსახურის მიერ შეიძლება გაგრძელდეს მომდევნო 10 სამუშაო დღით. მალფუჭებადი საქონელი შეიძლება შეჩერდეს არაუმეტეს 6 სამუშაო დღის ვადით, რომლის გაგრძელებაც არ დაიშვება. იმავდროულად, თუ უფლების მფლობელი სარჩელით მიმართავს სასამართლოს, ამ უკანასკნელს შეუძლია გააგრძელოს შეჩერების ვადა საქმის საბოლოო გადაწყვეტამდე. „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ კანონი ითვალისწინებს სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე კონტრაფაქციული საქონლის განადგურების შესაძლებლობას.

საინფორმაციო ბიულეტენი მომზადებულია ევროკავშირის პროექტის GEPLAC-ის მიერ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ “საქპატენტთან” და საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციასთან თანამშრომლობით.



იქსსსსსს
ნაციონალური ცენტრი ინტელექტუალური საკუთრების
დასაცემის საქართველოში



საავტორო უფლებათა
ასოციაცია
ქობულეთი ბაქოძის ქუჩა, თბილისი